პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 თებერვალი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 46 (15259)

ჩვენი ენერგია—საკეთილოდ, იუბილარს!

ჩვენი ქვეყნის მშრომელები ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ". პრესაში უკვე იბეჭდება მოწინავე კოლექტივების, ცალკეული მშრომელების გამოხმაურებები. საქართველოს მშრომელებიც ინტერესით განიხილავენ ჩვენი დიადი ქვეყნის შექმნის საიუბილეოდ მზადების ამ დოკუმენტს და ენთუზიაზმით განაგრძობენ დამკვრელურ შრომას წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ჩადდგა ახალი შემჯიბრება, რომლის დევიზი ასეთია: დირსეულად შევხვდეთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ საᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ მოძმე ხალხები ემზადებიან თავიანთი სახელოვანი ისტორიის დიდი და ნათელი თარიღის შესახვედრად. 1972 წლის 30 დეკემბერს სრულდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნე.

გუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ". საბჭოეთის მშრომელებმა უდიდესი ინტერესითა და აღფაფრენით აღიქვეს ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტი. იგი მკაფიოდ ახასიათებს საბჭოთა კავშირის შექმნისა და განვითარების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, მის მონაპოვრებსა და წარმატებებს, ეროვნულ საკითხში „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძლევამოსილ ცხოველმყოფელ ძალას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კიდევ უფრო აძლიერებს სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა რევოლუციურ პატრიოტულ სულისკვეთებას, მათს შემოქმედებითს ენთუზიაზმს პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მასობრივი მზადება ჩვენი მრავალეროვანი ხალხის დიადი დღესასწაულისათვის ჩაღდება საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ატმოსფეროში, რომელიც ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს, მისი იდეების კეთილსაყოფიერი გავლენის ატმოსფეროში.

საბჭოთა კავშირი თავის ნახევარსაუკუნოვან მიჯნას ეგებება მატერიალური და სულიერი ძლიერების გაფურჩქვნით. დღეს იგი განსაკუთრებით მძლავრი და მტკიცეა. ახლანდელი სიმაღლეებიდან რომ ვავლებთ თვალს საგმირო საქმეთა და აღმშენებლობათა გამოვლილ გზას, კანონიერი სიამაყის გრძნობა გვეუფლება. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მოელმა ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა მისი გენიალური დამაარსებლის ვ. ი. ლენინის შთამაგონებელი სტაკვები: „ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლის ან ეროვნული განკერძოების სამყაროს, მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის ახალ სამყაროს, რომელშიც ადგილი არა აქვს არც პრივილეგიას, არც ადამიანის მიერ ადამიანის უმცირეს ჩაგვრას". საბჭოთა კავშირი განასახიერებს ახალ სამყაროს, სადაც გაიმარჯვა თავისუფალ ერთა და ეროვნებათა ერთიანობისა და მეგობრობის წინათ არნახულმა ურთიერთობამ.

როგორც ლენინმა განკვრიტა, მხოლოდ მოძმე ხალხთა მთელი ძალებისა და რესურსების გაერთიანებამ მისცა მათ შესაძლებლობა უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეძლიათ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა, განეხორციელებინათ კვეყნის ინდუსტრიალიზაცია და გარდაექმნათ სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობა, მოეხდინათ ნამდვილი კულტურული რევოლუცია, აეშენებინათ სოციალიზმი და გადაექცათ სსრ კავშირი მძლავრ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ. მისი ეროვნული შემოსავალი საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ განვლილ ათწლეულთა ძანძილზე ასჯერ და მეტად გაიზარდა. აყვავდა ხალხთა შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურა.

საბჭოთა საშობლოს სახელმწიფოებრივმა ერთიანობამ შექმნა მისი უოუეი თვდაცვითი ძლიერება. რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ეს ნათლად დაადასტურა დიდ სამამულო ომში გამარჯვებამ, რომელიც სსრ კავშირის ყველა ეროვნების მეომრებმა და მშრომელებმა გმირობით და მსხვერპლით ფასად მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე მდგომი მამაცი შეიარაღებული ძალები სოციალისტურ ერთა საბრძოლო თანამეგობრობას განასახიერებენ. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულს რომ აღნიშნავენ დღეს, ჩვენი კვეყნის ხალხები ჯეროვან პატივს მიაგებენ მათს დამსახურებას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც ფხიზლად დაიცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს.

ერთობლივი ბრძოლითა და შრომით იწრთობა და მტკიცდება თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი — მძლავრი სოციალისტური ოჯახი, რომელიც ახმ მეტ ერსა და ეროვნებას აერთიანებს, ინტერესთა და მიზნათა, სულიერი ნათესაობის ნდობისა და ურთიერთდახმარების ესოდენ ურღვევი ერთიანობა ყაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა. სოციალიზმისა და კომუნიზმის საშენებლობის წლებში ჩვენში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე პირობებში ჩვენი ხალხის ინტერესების, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, მისი შემადგენელი ყველა ერის შემოქმედებითი ენერგია და ნიჭი სულ უფრო მკაფიოდ და სრულად ვლინდება.

სსრ კავშირის გამოცდილებით მსოფლიოს ყველა ხალხი ხედავს ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტის მაგალითს, ერთა უმჭიდროესი თანამშრომლის, ყოველმხრივი აყვავებისა და დაახლოების შთამაგონებელ მაგალითს. საბჭოთა კავშირმა მსოფლიო ალიარება მოიპოვა როგორც ძალამ, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იცავს ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს, გადაჭრით ილაშქრებს ყველა ფორმის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის შექმნა და განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველა მონაპოვარი განუყრელად დაკავშირებულია პარტიის დაუცხრომელ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ საქმიანობასთან. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შეძლო შეეკავშირნა ყველა ჩვენი ერი და ეროვნება ერთიან, ინტერნაციონალურ ძმობად და წარემართა მათი ლენინურად გაიმართა კრებები ქარხანა „რუსული დიზელის" საამქროში, რომლებზეც მიიღეს სადღესასწაულო ვარიული დღეს დამკვრელური მუშაობისათვის მზადების პროგრამა.

სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზაზე მოსკოველთა ინიციატივას პირველმა დაუჭირეს მხარი დარნიცის სალოკომოტივო დეპოს მშრომელებმა. (საკვლი).

ნისძიებანი ახალი საზოგადოების შესაქმნელად. ახლა ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ეროვნული ოკრუგის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენი პარტიის მებრძოლი რაზმები არიან, მაღლა უპირავთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა.

ღირსსახსოვარი იუბილეს წინ პარტია, მიღწეულ შედეგებს რომ ჯამებს, მთავარ ყურადღებას აპყრობს უწინარეს ყოვლისა დღევანდელი და ხვალინდელი დღის ამოცანებს. ეს ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა. დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავ ადასტურებს პარტიის XXIV ყრილობის მიერ გამოხატულ იმ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც განუხრელად ახორციელდეს სსრ კავშირის ყოველმხრივი განმტკიცების ლენინურ კურსს, ყოველ ღონეს ხმარობდეს იმისათვის, რომ ჩვენი კვეყნის ხალხთა კავშირურთიერთობა უფრო მჭიდროვდებოდეს და ღრმავდებოდეს, რომ კიდევ უფრო მტკიცდებოდეს მათი ინტერნაციონალური სოციალისტური ერთიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ყველა პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივებს უსახავს ამოცანას — გაშალონ მზადება სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის. თვითეულ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ოკრუგში, ქალაქში, რაიონში, თვითეულ შრომითს კოლექტივში უნდა განხორციელდეს დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კონკრეტული გეგმების საფუძველზე, რომლებიც გაითვალისწინებენ მთელ ადგილობრივ შესაძლებლობებსა და ძალებს ღონისძიებათა ფართო პროგრამის შესასრულებლად.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დებულებების პროპაგანდას, იმას, რომ განვმარტოთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალისა და ცხოველმყოფელობის წყაროები, სსრ კავშირის, როგორც ინტერნაციონალიზმის იდეების ცოცხალი განსახიერების, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობა ჩვენს კვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების გაძლიერებისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის. საჭიროა ფართოდ გავაშუქოთ შედეგები საბჭოთა სახელმწიფოს ნაყოფიერი საქმიანობისა სსრ კავშირის ყველა ერის და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, ერთა ახალი ურთიერთობის ფორმირებისათვის, ღრმად განვმარტოთ ლენინური კურსი პარტიის XXIV ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი კვეყნის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების, სსრ კავშირის ერთა და ეროვნებათა აყვავებისა და თანდათანობით დაახლოების, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცების პერსპექტივები.

სახელოვანი იუბილესათვის მზადება აქტიურად უნდა გამოვიყენოთ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ეს ყველა პარტიული დიდ სამეურნეო ორგანიზაციების, მთელი ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი კადრების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნის პრესას, ტელევიზიასა და რადიოს, რომლებიც ყოველმხრივ უნდა აშუქებდნენ საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებებს, მის საერთაშორისო მნიშვნელობას. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს შესაბამისი ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემისათვის, ფილმების გამოშვებისათვის, თეორიული კონფერენციების, სამეცნიერო სესიების, ფეხტივალების, სპარტაკიადებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის.

პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს სსრ კავშირის იუბილე აღნიშნონ ახალი მიღწევებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მოწინავე კოლექტივების ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება ღირსსახსოვარი თარიღის პირნათლად შეხვედრისათვის და მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით რომ ხელმძღვანელობენ და დაუცხრომლად განუმარტავენ მას მასებს, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყველაკვე განავითარონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული საერთო-სახალხო ამოცანების გადასაწყვეტად.

საბჭოთა კავშირის 50 წლისთავი დიადი ნიშანსვეტია მის ისტორიულ გზაზე. იუბილესათვის რომ ემზადება, ჩვენი კვეყნის ყველა ერი და ეროვნება კვლავ ცხადყოფს თავის ერთიანობას, შეკავშირებას ლენინური პარტიის გარშემო, თავის ერთგულებას ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი. ხალხთა ეს მტკიცე ერთიანობა და მეგობრობა მათი ურყევი ძალების წყარო და კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

ПРАВДА

24 თებერვლის მოწინავე

ᲯᲘᲭᲐᲨᲘᲡᲘᲡ 51 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობს ლენინურ ჩათვლაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს დევიზით „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში!". ამ მოძრაობის ერთ-ერთმა მონაწილემ ახალგაზრდა კომუნისტმა, ქარხანა „სოხუმბელსაწყოს" ინსტრუმენტალური საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, ზეინკალ-ინსტრუმენტალისტმა რომდენი შენგელიამ თავისი პირადი გეგმის მრავალი პუნქტი უკვე შეასრულა, საწარმოო დავალებებს კი როგორც წესი ყოველდღიურად 20-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: რ. შენგელია.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲗᲘᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

მთელი გულისყურით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ". ეს არის ფრაზად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც გადმოცემულია სსრ კავშირის შექმნის ისტორია.

როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით, სოციალ-ეკონომიური შედეგებით დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაში უდიდესი დამსახურება ეკუთვნის პარტიისა და ხალხის ბელადს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

თავისთავად ცხადია, რომ მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა მუშათა ალიანსის მეთაურობით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველა საბჭოთა ხალხის რევოლუციური შემოქმედების თვალსაჩინო მაგალითია.

საბჭოთა საქართველო, რომელიც ამ დღეებში აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 51 წლისთავს; უდიდესი ენთუზიაზმით ეგებება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის, ხალხთა ერთიან, თავისუფალ — ძმურ ოჯახში აყვავდა და გაიფურჩქნა მშობლიური საქართველო. ახლა ჩვენი ადამიანები შთაგონებულად შრომობენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლედის მეორე წლის დავალებების შესრულებისათვის.

ერთიან მეგობრულ ოჯახად შეკავშირებულმა ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა განვითარებული სოციალიზმი. ჩვენ გვაქვს საკმაო, რომ საბჭოთა ხალხების ერთიანობა და მეგობრობა კომუნიზმის მშენებლობის ახალ გამარჯვებათა საწინდარია. ამ რწმენას ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲝᲛᲐᲫᲔ,
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ

მეგობრობა, ძმობა, სიყვარული — ეს იყო ოცნება ადამიანებისა. ხალხებისა, მთელი კაცობრიობისა. ორი ათას სამასი წლის წინ თქვა ანტიკური ეპოქის პოეტმა. ბედნიერია ის, ვისაც ნამდვილი მეგობრის ჩრდილი მაინც უნახავს. ხოლო უძველეს ქართულ ხალხურ თქმულებაში ნათქვამია, მეზობელი და ამომავალი მზე ერთია, მეგობარი ნახე, რა იქნებაო.

ეს იყო ოცნება, ეს იყო ნატვრა, სურვილი ადამიანებისა და ხალხებისა და მას აღბეჭდავდნენ საუკუნეთა მანძილზე ლექსებშიც, თქმულებებშიც, ტრაქტატებშიც; გვახსოვს დიდი მეოცნებენი კაცობრიობის ნათელ მომავალზე, ეან ჟაკ რუსოს მსგავსად, მომავლის კონსტიტუციებს რომ წერდნენ, ქარტიებს რომ ადგენდნენ ხალხთა ძმობასა და სიყვარულზე. მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ ოცნება იყო, ილუზია იყო, მიუწვდომელი და განუხორციელებელი.

ათასეული წლები ოცნებობდნენ, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ. სისხლისგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დადგებოდა დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა ყველაზე დიადი საქვეყნო ფიცი. ხალხთა ძმობას ისტორიის კანონად რომ აქცევდა. ეს იყო დღე, როცა შეიქმნა ა ს საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი. ეს ფიცი დიადო ნახევარი საუკუნის წინ, ლენინმა და ლენინის პარტიამ დაიფიცეს ხალხები ძმობაზე, და ეს ძმადაფიცობა ისეთი უძლეველი გამოდგა, რომ გაუძლო ყველაზე დიდ ისტორიულ ქარტეხილებს. ყველაზე ძლიერი მტრების შემოსევებს.

მრავალეროვანი და მდიდარი შინაარსით აღსავსეა ცხოვრება ხალხთა ამ დიდი ოჯახისა. აქ ერთი ძმის სიმდიდრე მეორის სიმდიდრეც არის, ერთის სილამაზე მეორესაც შუქს აყენებს. ერთის სიბრძნე მეორესაც მალლა სწევს, ერთის ლექსი მეორესაც გულს უთრთოლებს, ერთის ენას მეორეც პატივს ცემს... საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ და ურღვევია ამიტომ, რომ მის საფუძვლად ხალხების ერთიმეორისადმი პატივისცემა და სიყვარული უძევს.

მზადდება ამ სახელოვანი იუბილესათვის დიდ ამოცანებს აყენებს ყოველი დარგის მუშაკთა წინაშე, კერძოდ მწერლებისა და პრესის მუშაკების წინაშე: ეს ამოცანები ზუსტად არის აღნუსხული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც

კამოქვეყნდა გაზეთებში. ჩვენი უწმიდესი პატრიოტული ვალია ღირსეულად შევხვდეთ ამ დიდ დღესასწაულს — მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ორმოცდამეათე წლისთავს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

„ᲚᲣᲜᲐ-20": ᲙᲣᲠᲡᲘ — ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ

საბჭოთა ავტომატურმა „ლუნა-20" სადგურმა წარმატებით შეასრულა მთვარეზე მუშაობის პროგრამა.

1972 წლის 23 თებერვალს სადგურის დასაჯდომი საფეხურიდან დედამიწისაკენ სტარტი აიღო კოსმოსურმა რაკეტამ. კოსმოსური რაკეტის დასაბრუნებელ აპარატში არის მთვარის ძნელადმისაწვდომ მატერიკის რაიონში აღებული გრუნტის ნიმუშები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ავტომატური „ლუნა-20" სადგური 1972 წლის 21 თებერვალს 22 საათსა და 19 წუთზე რბილად დაჯდა მთაგორიან რაიონში სიუხვის ზღვასა და კრიზისების ზღვას შორის. დაჯდომის შემდეგ შემოწმდა სადგურის საბორტო სისტემები და განისაზღვრა მისი მდგომარეობა მთვარის ზედაპირზე. ტელეფოტომეტრიული მოწყობილობის საშუალებით დედამიწაზე გადმოიცა მთვარის ზედაპირის გამოსახულებანი, რომელთა შესაბამისადაც შერჩეულ იქნა მთვარის ქანის ნიმუშების აღების ადგილი. შემდეგ დედამიწიდან მიცემული კომანდის მიხედვით დაიწყო გრუნტის აღების ოპერაციები.

გრუნტსალებმა მოწყობილობამ გაბურღა მთვარის გრუნტი და ამოიღო ქანის ნიმუშები. ამასთან გრუნტის გადიდებული წინააღმდეგობის გამო ბურღვა რამდენიმე ეტაპად წარმოებდა საბურღი მოწყობილობის შუალედური შეჩერებით. აღებული ნიმუშები მანიპულატორის დახმარებით მოთავსებულია კოსმოსური რაკეტის კონტეინერში და ჰერმეტიზებულია.

კოსმოსურმა რაკეტამ სტარტი აიღო მთვარის ზედაპირზე დარჩენილი სადგურის დასაჯდომი საფეხურიდან საბორტო პროგრამულ-დროებრივი მოწყობილობის კომანდით 1972 წლის 23 თებერვალს 1 საათსა და 58 წუთზე მოსკოვის დროით. რაკეტის ტრაექტორიის პარამეტრები უახლოვდება გაანგარიშებულს.

მთვარე — დედამიწის ტრასაზე ფრენის საბოლოო ეტაპზე რაკეტას მოსცილდება დასაბრუნებელი აპარატი, რომელიც 1972 წლის 25 თებერვალს შევა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში, აეროდინამიკურად დამუხრუჭდება და რბილად დაჯდება საპარაშუტო სისტემის გამოყენებით.

დედამიწისაკენ ფრენის დროს კოსმოსურ რაკეტასთან კავშირის სეანსებში მოეწყობა ტრაექტორიული გაზომვები დაჯდომის რაიონის კოორდინატების დაზუსტების მიზნით. საძიებო კომპლექსის საშუალებანი გამზადებულია მუშაობისათვის.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

22 თებერვალს საბჭოთა მთავრობამ მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი პო დამი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიეოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკვლი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ 54-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

22 თებერვალს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 54-ე წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. კ. შიტიკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი და სხვები.

მეომრებს დღესასწაული გულთბილად მიულოცეს მარი შენადნობების კომბინატის მუნიციპალურ სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ა. სოკოლოვმა და სრულიად საკავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. ფიტენკოვმა.

შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ბრძის გენერალს ვ. გ. კულიკოვს. (საკვლი).



ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ I ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲐᲖᲛᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ძვირფასო ამხანაგებო!

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების წესია. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება საყოველთაო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმიტომ სრულდება წარმატებით, რომ საბჭოთა ადამიანები პოლიტიკურად გააქტიურდნენ, რომ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მშრომელები მეტ როლს ასრულებენ მართლწესრიგის განმტკიცებაში. საბჭოთა მშრომელებს • თავიანთ დვინლ საქმედ და მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნიეთ ფართო, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური კანონიერებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის გამლილ პატრიოტულ მოძრაობაში.

სოციალისტური მართლწესრიგისათვის ბრძოლის გააქტიურება შეეგრად განაპირობა იმან, რომ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ სკკპ XXIV და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობების მოთხოვნათა მიხედვით". ამ დადგენილებამ სერიოზული ამოცანები დაუსახა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო რაზმელების როლი მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

რთული და საპატიო ამოცანის შესრულებისათვის იბრძვის რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების მრავალათასიანი არმია. მათი საქმიანობა დღითი დღე უფრო ქმედითი და ეგმინზნული ხდება.

შეეჯამეთ რა სახალხო რაზმეულების დათვალიერების შედეგები, ვმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის პროფილაქტიკასა და თავიდან აცილებას. შემცირდა დანაშაულის რაკეტი. გასულ წელს რესპუბლიკის ათასობით დასახლებულ პუნქტში არ მომხდარა არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაული.

შეკრებაზე აღინიშნა სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისა და დანაშაულობათა აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში სახალხო რაზმეულების აქტიური მონაწილეობის, სახალხო რაზმელთა გაბედული და უნარიანი მოქმედების მრავალი ფაქტი.

ამასთანავე ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ რაც გაკეთდა, არ კმარა. ჯერ კიდევ ბევრი შრომა უნდა გასწიონ სახალხო რაზმეულებმა იმისათვის, რომ რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში, ყველა დაბასა და სოფელში დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

ჩვენ, საქართველოს სსრ სახალხო რაზმეულების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წარმომადგენელნი, პირველი რესპუბლიკური შეკრების მონაწილეები, მოვუწოდებთ ყველა სახალხო რაზმეულსა და რაზმს: უფრო გააქტიურონ ბრძოლა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში;

მტკიცედ დაიცვან სანიმუშო წესრიგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, აქტიურად ჩაებან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მთსახლ

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წარმომადგენელთა I რესპუბლიკური შეკრება

რაზმეელთა ფართო ნაბიჯი

დათვალიერების წარმატებანი და გაკვეთილები

19 თებერვალს თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წარმომადგენელთა I რესპუბლიკური შეკრება. შეკრებას დაესწრნენ პარტიული, სახელთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რაზმეულების კომისიებისა და ოპერატიული შტაბების წევრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების რაზმეულების შტაბების უფროსები, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, სახელთა მეურნეობებისა და სასწავლებლების რაზმეულების ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, მოწინავე რაზმელები, ადმინისტრაციული ორგანოების, ჯარის ნაწილების წარმომადგენლები, მეცნიერების, კულტურის, სპორტის მუშაკები.

შეკრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხაკაიამ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური ოპერატიული შტაბის უფროსს ვ. ი. შალაშს. დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი მოლიანად რესპუბლიკაში თქვა მან, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მოწმობს, რომ მაკიდება სამართალდარღვევის შემცირების ტენდენციები, სწორადაა ერთმანეთთან შეხამებული დასჯის ღონისძიებანი იმათზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებთან. ჯისაკი არ ჩაუფიანია საზოგადოებისათვის სამუშაო, მაგრამ გადაუხვია კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმებს. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო რაზმეულებისა და ადმინისტრაციული ორგანოების აქტიური მუშაობის შედეგად შექმნილია

ავამაღლოთ ეკონომიური სწავლების ეფექტურობა

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში გაიმართა თათბირი მშრომელთა ეკონომიური განათლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტების, მსხვილ საწარმოთა პარტიული კომიტეტების, პროფკავშირთა საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები. მინისტრების მოადგილეები და რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საზოგადოება „ცოდნის“ ხელმძღვანელები, რესპუბლიკური გაზეთების, ჟურნალების, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები.

„მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ ხკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ თათბირზე ინფორმაცია გააკეთეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ძაბაკაძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. შალავანდოვმა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ მ. გვიანლიანმ და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ო. ძაბოლაძემ.

ІІ-ის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ თათბირის ყველა მონაწილის გამოსვლებში განზოგადებული იყო ამმოცდილება და განხილულ იქნა კადრების, მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების ეკონომიური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების, პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანები. ხომ სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის, წარმოების ეკონომიკისა და შრომის ხასიათის თვისებრივი ცვლილებების პირობებში მშრომელთა ეკონომიური სწავლები ეხლა უწყობს მეურნეობის კაძღოლის დონის ამაღლებას, წარმოების მართვაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული გეგმების განხორციელებაში მასების ინიციატივისა და აქტივობის გაძლიერებას.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ბევრ ძაღლურნეს აბმარენ იმას, რომ ეკონომიური ცოდნა არა მარტო წარმოების მეთაურთა, სპეციალისტთა, არამედ აგრეთვე წარმოებაში უმუალოდ ჩაბმული ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა გახლეს.

თათბირზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად არ გავაფართოვნებ სოციალიზმის ეკონომიური კანონები, მეურნეობის კაძღოლის ლენინური პრინციპები და მეთოდები. მეორე მხრივ, ეკონომიური აზროვნების განვითარება აძლიერებს ყოველი მუშაკის აქტივობას, ამაღლებს მის პასუხისმგებლობას, ეხმარება უფრო სრულად გამოავლინოს თავისი უნარი, ინიციატივა, სამეურნეო მოსაზრებულობა.

თათბირის მონაწილეები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს ეკონომიური სწავლების ორგანიზატორებს — პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. იქ, სადაც ფართოდ და უნარიანად იყენებენ ეკონომიური სწავლების ყველა ფორმას, დადებითი შედეგებია მიღებული.

მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების საკითხები განხილულ იქნა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პროპაგანდისტთა თათბირებზე.

გამომუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოდა ეკონომიური პრობლემების შემსწავლელთა წრე. მიმდინარე სასწავლო წელს ეკონომიკის საკითხებს სწავლობენ პარტიული განათლების ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კუთვნილების ბავშვი.

თათბირზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად არ გავაფართოვნებ სოციალიზმის ეკონომიური კანონები, მეურნეობის კაძღოლის ლენინური პრინციპები და მეთოდები. მეორე მხრივ, ეკონომიური აზროვნების განვითარება აძლიერებს ყოველი მუშაკის აქტივობას, ამაღლებს მის პასუხისმგებლობას, ეხმარება უფრო სრულად გამოავლინოს თავისი უნარი, ინიციატივა, სამეურნეო მოსაზრებულობა.

ბონი **გაანხილვა დაიწყო**

22 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუნდესტაგი შეუდგა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტების განხილვას პირველი წაკითხვით.

განხილვა მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა დასავლეთგერმანელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ხელშეკრულებებს, რომლებიც საფუძველს უყრიან სოციალისტურ სახელმწიფოებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციას და შეაქვთ დიდი წვლილი ევროპის მშვიდობის განმტკიცებაში.

მიუხედავად ამისა ოპოზიციური პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი შარიგერის ბრესის მხარეებერით განაგრძობს ობსტრუქციონისტურ პოლიტიკას ხელშეკრულებათა მიმართ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის და განსაკუთრებით შტრაუსის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელები წინააღმდეგობას გამოთქვამენ და მოითხოვენ „დამატებით ახსნა-განმარტებას“.

ბუნდესტაგში სამდღიანი განხილვის შემდეგ კანონპროექტები რატიფიკაციის შესახებ უნდა გადასცენ პარლამენტის კომისიებს. საბოლოო კენჭისყრა ბუნდესტაგში გაიმართება მომდინარე წლის მაისის დამდეგს.

ასამართლებენ მუვიდობისათვის მებრძოლებს

ნიუ-იორკი

22 თებერვალი. (საკდესი). პენსილვანიის შტატის ქალაქ ჰარისბერგში დაიწყო ხელისუფლთა მიერ შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფის გასამართლება. ამ ჯგუფს მღვდელი ფილიპე ბერიგანი ხელმძღვანელობს.

ცდილობს რა დაამტკიცოს ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მოწინააღმდეგენი, ამერიკის საიდუმლო პოლიციამ შეითხზნა „საქმე“, რომლის საფუძველზეც ფილიპე ბერიგანსა და მის ექვს ამხანაგს წაყენებული აქვთ უაზრო ბრალდება, თითქოს აწყობდნენ შეთქმულებას „რათა მოეტაცათ პრეზიდენტის სპეციალური თანამშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში და აიფეთქებინათ ვაშინგტონში მთავრობის შენობათა გასაბომბი სისტემა“.

როგორც სასამართლოში პროკურორ ლინჩის გამოსვლა ცხადყოფს, ხელისუფალთ ოდნავადაც არ აწუხებს ის გარემოება, რომ „ჯგუფის ხელმძღვანელი“ მღვდელი ბერიგანი „შეთქმულების ორგანიზაციის“ მომწინააღმდეგეთ დაპატიმრებული იყო მშვიდობისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო.

ამ სასამართლო ფარსს წინ უძღოდა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის საგულდაგულო შერჩევა.

ბრალდების მთავარი ფიგურაა გამოძიების ფედერალური ბიუროს პროვოკატორი ბოიდ დუგლასი. როცა დუგლასი დაიწყებს „მოწმის ჩვენებათა“ მიცემას, აღნიშნავს ჟურნალი „ნიუსუიკი“, ძალიან გაუძნელდება მიჩქმალოს ის გარემოება, რომ იგი „პირნავარნილი დამნაშავე და პათოლოგიური მატყუარაა“.

„სურს თუ არა ეს ბრალდებას, პროცესზე მთავარი საკითხი გახდება ამერიკის შეერთებული შტატების ამორალური ომი ვიეტნამში“, — განაცხადეს ბრალდებულთა დამცველებმა ჯერ კიდევ სასამართლოს დაწყებამდე. აქ აღნიშნავენ, რომ თუ ფალსიფიკატორი მსაჯულნი „დაადასტურებენ“ მშვიდობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთა „დანაშაულს“, მაშინ ფ. ბერიგანს ემუქრება 50 წლამდე პატიმრობა, მის ამხანაგებს ე. მაკალისტერსა და ე. აპმადს — შესაბამისად — 40 და 20 წლის პატიმრობა, ხოლო ამ ომისსაწინააღმდეგო ჯგუფის დანარჩენ წევრებს 5 წლამდე პატიმრობა.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც თავის მხრივ კომპარტიის ეროვნულ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ჰენრი უინსტონი, გეს ჰოლი კი პარტიის გენერალურ მდივნად.

გადატრიალების ცდა

ბრაზილია

22 თებერვალი. (საკდესი). კონგოს სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დღეს არმიის გარკვეულმა ელემენტებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.

კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარიან ნგუაბმ, რომელიც ამჟამად პუენტ-ნუარში — ატლანტის ოკეანეს სანაპირო ქალაქში იმყოფება, — მეამბოხეებს რადიოთი მოუწოდა დაბრუნდნენ ყაზარმებში.

შუადღისას რადიო „კონგოს რევოლუციის ხმამ“ გადასცა გენერალური შტაბის უფროსის მაიორ იოაქიმ იომბი-ოპანგოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ შეთქმულთა და მათ თანამზრახველთა მეთაურები დაპატიმრებული არიან. მაიორმა იომბი-ოპანგომ მოსახლეობას მოუწოდა დაიცვას სიმშვიდე.

22 თებერვალი. (საკდესი). კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი მარიან ნგუაბი საბავშვთაგორო ქალაქ პუენტ-ნუარიდან დაბრუნდა ქვეყნის დედაქალაქში, სადაც გუშინ დღისით ჩაიფუშა სახელმწიფო გადატრიალების ცდა.

გამოვიდა რა ეროვნული რადიოთი, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **გადატრიალება სცადა პატივმოყვარე სამხედრო მოხამხურეთა ჯგუფმა, რომლებმაც ხელი იგდეს რადიოსადგური და გამოაკეკეულნს მთავრობის საწინააღმდეგო განცხადება.** ბევრი შეთქმული, თქვა ბ. ნგუაბმ, ამუამად დაპატიმრებულია.

ვაშინგტონი

შვეიკიან ციხისგნამეგლებს

23 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის მთავრობამ კვლავ ცდადა ზიგავლინა მოეხდინა კონგრესზე, რათა დეთანხმებინა მოუნახენის რადიოსადგურების „თავისუფალი ევროპისა“ და „თავისუფლების“ ძირგამომთხრელი საქმიანობის დაფინანსებაზე. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ირვინმა გუშინ გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზი გაუსვა, რომ ამ სადაზვერვის მუშაობის შეწყვეტა „დიდ ზიანს“ მოუტანს ამერიკას.

სახელმწიფო მდივნის მოადგილის ირვინის განცხადებით ამერიკის მთავრობამ დაიწყო საკანონმდებლო კამპანია ანტიკომუნისტური რადიოცენტრების გადასარჩენად, რომლებიც, როგორც იგი აგვარწმუნებს, „სერიოზულ საფრთხეში“ აღმოჩნდნენ. ირვინმა მოუწოდა კონგრესს მიიღოს კანონმდებლობა, რომლის თანახმად ამ რადიოსადგურების დაფინანსება აუკრძალავდა საფუძველზე იქნება დაყენებული.

ქართველი ჟურნალისტები სტუმრად მეოთრეებთან

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ინიციატივით ამ დღეებში რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორთა და სარედაქციო კოლეგიების წევრთა ჯგუფი ესტუმრა მეთრეს. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მიწვევით ჟურნალისტები ჩავიდნენ „ნ“ სასწავლო ცენტრში, რათა — შეხვედროდნენ პირად შემადგენლობას, გასცნობოდნენ თანამედროვე სასწავლო-მატერიალურ ბაზას, იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, საბრძოლო მომზადების პროგრამის სხვადასხვა საგნებში სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

იმ ამოცანებზე, რომელთაც წყვეტენ ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები სასწავლო ცენტრში, ჟურნალისტებს უამბო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილემ საბრძოლო მომზადებისა და უმაღლესი სასწავლებლების დარგში გენერალ-მაიორმა ვ. კარპოვმა.

ჟურნალისტებში დაესწრნენ მეცადინეობას, რომელშეც ამუშავებდნენ მოსაღოდნელი მოწინააღმდეგის ასაფეთქებელ საშუალებათა წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლო საკითხებს. გაკვეთილმა, რომელსაც განმარტავდა ოფიცერი ნ. შჩრბაკოვი, თვალსაჩინოდ უჩვენა სტუდრებს, რომ გაწვრთნილ მეორმრეს ბრძოლის დროს ვერ შეაშინებს ყველაზე თანამედროვე ასაფეთქებელი შენარევები.

ჟურნალისტები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს პირადი შემადგენლობის ტანკებით მეცადინეობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ნ. ბუდეი. მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა და ოსტატობა გამოავლინეს რიგითმა მებრძოლებმა: ვ. ბელოუსოვმა, ი. მანკომ, ი. ზეიტოვმა და სხვებმა, მეირე სიერმის სანაირში მყოფი ჯარისკაცები ზუსტად უშენდნენ ტანკებს ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს.

...ცეცხლი, კვამლი, აფეთქების ხმა. ახალ-ახალი ორმოები. აღმოდგენილი „სასლების“ ჯიდლები. ასეთ. პროგრამებში უტეხდნენ მოტომსროლელები „მოწინააღმდეგის“ დასაყრდენ პუნქტს.

ეს არის მეცადინეობა სპეციალურად მოწყობილ სასწავლო მოედანზე. აქ ჯარისკაცები და სერჟანტები იმუშავებენ ფსიქოლოგიურ თვისებას, ურომლისოდაც ძნელია ვიქონიოთ თანამედროვე ბრძოლაში წარმატების იმედი. გაკვეთილმა ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ერთ-ერთ სასწავლო პუნქტში სტუმრები გაეცნენ „მოტომსროლელ ქვეგანაყოფთა ახალ საბრძოლო ტექნიკას.

ქართველ ჟურნალისტთა შეხვედრა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებთან რესპუბლიკის მშრომელთა და ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრების დამცველთა მეგობრობის გაძმტკიცების ერთ-ერთი ღონისძიებაა.

უეჭველია, ქართველ ჟურნალისტთა სტუმრობამ „ნ“ სასწავლო ცენტრში დიდი სარგებლობა მოიტანა. იგი ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ჟურნალისტთა და გაზეთების ფურცლებზე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრთა ცხოვრებისა და სამსახურის ამსახველი ღრმაშინაარსიანი მასალების, აგრეთვე ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისადმი მიძღვნილი მასალების გამოქვეყნებას. (საქდესი).

მსოფლიო დღეს

საბჭოთა სტუმრები სირიაში

დამასკო, 22 თებერვალი. (საკდესი). აქ ოფიციალურ მეგობრული ვიზიტად მყოფი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, კომკავშირულ კომიტეტებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს. იქ, სადაც ფართოდ და უნარიანად იყენებენ ეკონომიური სწავლების ყველა ფორმას, დადებითი შედეგებია მიღებული.

მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების საკითხები განხილულ იქნა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პროპაგანდისტთა თათბირებზე.

გამომუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოდა ეკონომიური პრობლემების შემსწავლელთა წრე. მიმდინარე სასწავლო წელს ეკონომიკის საკითხებს სწავლობენ პარტიული განათლების ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კუთვნილების ბავშვი.

თათბირზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად არ გავაფართოვნებ სოციალიზმის ეკონომიური კანონები, მეურნეობის კაძღოლის ლენინური პრინციპები და მეთოდები. მეორე მხრივ, ეკონომიური აზროვნების განვითარება აძლიერებს ყოველი მუშაკის აქტივობას, ამაღლებს მის პასუხისმგებლობას, ეხმარება უფრო სრულად გამოავლინოს თავისი უნარი, ინიციატივა, სამეურნეო მოსაზრებულობა.

ბონი

გაანხილვა დაიწყო

22 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუნდესტაგი შეუდგა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტების განხილვას პირველი წაკითხვით.

განხილვა მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა დასავლეთგერმანელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ხელშეკრულებებს, რომლებიც საფუძველს უყრიან სოციალისტურ სახელმწიფოებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციას და შეაქვთ დიდი წვლილი ევროპის მშვიდობის განმტკიცებაში.

მიუხედავად ამისა ოპოზიციური პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი შარიგერის ბრესის მხარეებერით განაგრძობს ობსტრუქციონისტურ პოლიტიკას ხელშეკრულებათა მიმართ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის და განსაკუთრებით შტრაუსის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელები წინააღმდეგობას გამოთქვამენ და მოითხოვენ „დამატებით ახსნა-განმარტებას“.

ბუნდესტაგში სამდღიანი განხილვის შემდეგ კანონპროექტები რატიფიკაციის შესახებ უნდა გადასცენ პარლამენტის კომისიებს. საბოლოო კენჭისყრა ბუნდესტაგში გაიმართება მომდინარე წლის მაისის დამდეგს.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 22 თებერვალი. (საკდესი) დღეს მოკაიდოს კუნძულზე მოხდა მიწისძვრა.

ᲨᲝᲙᲘᲡᲣᲠᲐᲒᲘᲗᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐ



ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნში“ გამოქვეყნებული ეს სქემა თვალნათლივ ამხილებს ვაშინგტონის ფარისევლობას, რომელიც ამტკიცებს, რომ კვეცს ომს ინდოჩინეთში. ეს სქემა გვიჩვენებს, რამდენი მილიონი ტონა ბომბი ჩამოყარეს ამერიკელებმა ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ აგრესიულ ომში სხვა ომებთან შედარებით. იგი მოწმობს ამერიკის სამხედრო ხროვის მიერ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიების ბარბაროსული დაბომბვის უმაგალითო მასშტაბებს.

ნახატი ამერიკულ გაზეთ „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნიდან“.

რ. ნიქსონი პეკინში

ნიუ-იორკი. 22 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის პრესა ფართოდ აშუქებს გუშინ პეკინის სახალხო კრებების სახლში გამართულ ბანკეტს ჩინეთში პრეზიდენტ რ. ნიქსონის ყოფნის გამო. იუწყებიან, რომ ბანკეტზე ჯოუ ენ-ლაიმ და რ. ნიქსონმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც ჩინეთის მხარემ „სადღეგრძელოები“ უწოდა. პრესაში აღნიშნულია, რომ ეს სიტყვები გარკვეულ ინტერესს იწვევენ, რადგან თვითეულმა მხარემ განსაზღვრა თავისი თვალსაზრისი ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების თაობაზე, რომელიც საიდუმლოდ მიმდინარეობს.

ჩინეთისა და ამერიკის მხარეების ერთობლივი ღონისძიებების მეოხებით, განაცხადა ჯოუ ენ-ლაიმ, როგორც იქნა გაიხსნა მეგობრული ურთიერთობის კარი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის უთანხმოებამ „ხელი არ უნდა შეუშალოს ჩინეთისა და შეერთებულ შტატებს ნორმალური სახელმწიფო ურთიერთობის დამყარებაში“, — თქვა ჩინეთის პრემიერმა.

რ. ნიქსონმა ჯოუ ენ-ლაის პასუხად განაცხადა: „იმან, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, შეიძლება ახე უცვალოს მსოფლიოს. „ჩვენ შეგვყარა ომან, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, — რომ გვაქვს საერთო ინტერესები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უთანხმოებანი“.

ორივე სიტყვის შინაარსი მოწმობს, რომ მოლაპარაკებაზე მარტო ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობას ხარი როდი იხილავენ, მოლაპარაკების საგანია საერთაშორისო პრობლემებიც.

ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ მთელ ორსაათიან ბანკეტს სახალხო კრებების სახლში კავშირგაბმულობის თანამგზავრის საშუალებით გადასცემდა შეერთებული შტატების ყველა წამყვანი სატელევიზიო სადგური. „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პეკინში მყოფ ამერიკელებზე შთაბეჭდილება მოახდინა „ჩინეთის ხელისუფალთა მიერ შექმნილმა მეგობრულმა ატმოსფერომ“. გაზეთი ირონიულად წერს, რომ ტონი მისცა ჩინეთის ორკესტრმა, რომელმაც შეასრულა ისეთი ამერიკული მელოდიები, რომლებიც „იმ დროს, როცა მაოს კულტურული რევოლუცია აზანზარებდა ჩინეთს, აკრძალული იქნებოდა, როგორც საშინი და იმპერიალისტური“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ და სხვა გაზეთები ახასიათებენ ბანკეტზე შექმნილ ვითარებას და წერენ, რომ რ. ნიქსონმა თავისი სიტყვის დასაწყისში მადლობა გადაიხადა იმის გამო, რომ მას შეხვდნენ მარშით „მშვენიერი ამერიკა“, ხოლო თავისი სიტყვის დასახრულს წაიკითხა მაო ძე-დუნის ლექსები.

მაგრამ ამერიკის პრესა სხვა რამესაც წერს: „მთელი ახლანდელი მსოფლიოს თვალწინ ჩინეთის ხელმძღვანელობამ გულითადად მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომლის ჯარები კვლავ ტაივანში არიან და რომლის შეიარაღებული ძალები განაგრძობენ საბრძოლო მოქმედებას „ვიეტნამში“, — აცხადებს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

მეორე გაზეთის — „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი კარლოუ აღნიშნავს, რომ მაო ძე-დუნმა, რომელსაც ჩინეთში ღვთაების სტატუსი აქვს, უყოყმანოდ აკურთხა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის პოტენციური შერიგება.

V საკავშირო კინოფესტივალი 1972 თბილისი

კინოხელოვნების დიდი ფორუმი თბილისში

კონკურსი, დღე მეორე

V სრულიად საკავშირო კინოფესტივალის დღიური

23 თებერვალს, სრულიად საკავშირო კინოფესტივალის მუშაობის მეორე დღეს ნაჩვენები იყო მხატვრული ფილმები: მ. გორკის სახელობის კინოსტუდიის ფილმი „ᲬᲣᲗᲘᲡᲘᲠᲘ ᲓᲣᲛᲘᲚᲘ“ (სცენარის ავტორი ა. ოიბაკოვი, დამდგმელი რეჟისორი მ. შატროვი), ლატვის სტუდიის „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐ“ (სცენარის ავტორები ა. არამინასი, ი. მერსანი, დამდგმელი რეჟისორი ა. არამინასი), „თურქმენფილმის“ „ᲠᲘᲓᲐᲚᲘ“ (სცენარის ავტორები ხოჯაყული და ხოჯადური ნარლიევები, დამდგმელი რეჟისორი ხოჯაყული ნარლიევი) და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲘ“ (სცენარის ავტორი ს. ყელეტი, დამდგმელი რეჟისორები შ. და ნ. მანაგაძეები).

ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების კონკურსზე გამოტანილი იყო შემდეგი სურათები: „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ“ № 2, „ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ“, „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ“ („ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲤᲘᲚᲛᲘ“), „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲘᲢᲕᲐ № 26“, „ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ“ (ლიტვის სტუდია), „ᲙᲘᲗᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“, „ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲐᲜᲘ“ (უზბეკეთის სტუდია), „ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ“ № 1 („მოლდოვა-ფილმი“), „ᲞᲐᲢᲠᲘᲣᲭᲘ“ № 114 (სტუდია „ფიტილი“), „ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲘᲐ“ („მოლდოვა-ფილმი“), „ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲠ“ (დასავლეთ ციმბირის სტუდია), „ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲣᲠᲘ ᲔᲡᲙᲘᲖᲔᲑᲘ“ („მოლდოვა-ფილმი“), „ᲙᲘᲜᲝᲛᲝᲜᲐᲖᲐᲣᲠᲛᲝᲒᲐᲗᲐ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ“ № 60, „ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲒᲠᲫᲘᲡᲘ“, „ᲡᲘᲪᲝᲪᲚᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘ“ („სამეცნიერო ფილმების ცენტრალური სტუდია“).

საკონკურსო ფილმების დილის განხილვის შემდეგ გაიმართა ფესტივალზე აკრედიტებული სპბ ᲗᲝᲗᲐ და უცხოელი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ პრეს-კონფერენცია. საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა, კონკურსის ᲟᲣᲠᲘᲛᲘ და ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ: „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ“, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲝᲑᲘ“ — „ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ და „ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲜᲔᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲐ“.

თავისუფალ დროს ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს, დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, დაესწრნენ თბილისის თეატრების სპექტაკლებს.

* * *

მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალის სტატუსით დაწესებული ძირითადი პრიზებისა და ჯილდოების გარდა, ფილმების, მათი შემქმნელებისა და ავტორებისათვის დაწესებულია რესპუბლიკის სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სპეციალური პრიზები. პრიზები დაენესებ: ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — საქართველოს პროფსაბჭომ. საქართველოს პროფსაბჭომ დაანესა ეგრეთვე პრიზი ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲓᲝ ᲛᲝᲛᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზს დაიმსახურებს ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲛᲐᲖᲔ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის პრიზს კი ფილმი, რომელსაც ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲣᲚᲘᲡᲔᲑᲐ. საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ დააწესა პრიზი ᲡᲐᲒᲐᲮᲝᲠᲪᲝ-ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚი ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, გაზეთმა „კომუნისტმა“ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚი ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, „ᲗᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲜᲢᲝᲛᲐᲕ“ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲗᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲜᲢᲝᲛᲐᲕ“ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲥᲢᲘᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲛᲝᲚᲝᲓᲝᲕᲐ ᲒᲠᲣᲖᲘᲘᲗ“ — ᲥᲐᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲥᲢᲘᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ“ — „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალი. სურათზე: კინომსახიობები საქართველოს სახალხო არტისტი ლ. აბაშიძე და რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ა. ლარიონოვა.

ფოტო ბ. კიკვიძისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲓᲦᲔᲡ

რუსთაველის სახელობის კინოთეატრი

10.00 — „ᲘᲡᲘᲥ-ᲧᲣᲚᲘᲡ ᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲧᲐᲧᲐᲩᲠᲘᲚᲔᲑᲘ“ (ყირგიზთფილმი“)
12.00 — „ᲛᲐᲛᲘᲚᲝ“ („ბელორუსფილმი“)
16.00 — „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲕᲚᲐ“ („ლენფილმი“)
18.00 — „ᲧᲐᲜᲩᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲔ ᲙᲘᲩᲘ“ („მოლდოვა-ფილმი“)
„ᲗᲝᲓᲐᲠᲘᲒᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ“ („მოლდოვა-ფილმი“)

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მცირე დარბაზი

10.00 — „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ“ № 3 („ტალინფილმი“)
„ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲤᲝᲠᲘ“ („ტალინფილმი“), „ᲛᲔᲛᲐᲚᲚᲘᲕᲔᲑᲘ“ („ქართული ფილმი“), „ᲝᲠᲮᲝᲡ ᲡᲐᲬᲛᲘᲡᲘ“ („ქართული ფილმი“), „ᲬᲘᲜᲬᲒᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ“ („ტალინფილმი“).

კინოთეატრი „ᲐᲨᲘᲠᲐᲜᲘ“

— ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲒᲐᲠᲨᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

18.00 — „ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲗᲔᲑᲘ“ („ბრმენფილმი“).

სტუმართა სიტყვა

Ა. ᲖᲒᲣᲠᲘᲓᲘ,
კინორეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი

ᲫᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ გვაკისრია ყიურის წევრებს — შეეკუთვნოთ საკონკურსო ფილმები, როგორც დოკუმენტური, ისე სამეცნიერო-პოპულარული. მათი რიცხვი სამოცს აღწევს.

მიეხედავად იმისა, რომ ფესტივალზე საქმიანი ატმოსფერო სუფევს და, მოცლა არა გვაქვს, მასპინძელთა თავაზიან მიწვევებზე უარს როგორ ვიტყვით. მით უმეტეს, როცა საშუალება გვაქვს დავათვალიეროთ თბილისის მუზეუმები, ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლები, დავესწროთ საუკეთესო თეატრალურ დადგმებს.

მეხუთე საკავშირო კინოფესტივალი ახლა დაიწყო. წინ გვაქვს დაძაბული, შემოქმედებითი წვიფი აღსავსე კვირა, რომელიც ბევრ სიხარულს მიანიჭებს კინომყვარულებსაც და კინემატოგრაფისტებსაც.

თბილისის ფესტივალი განსაკუთრებულია იმითაც, რომ ამდენი სტუმარი არც ერთ განვლილ ფესტივალზე არა ყოფილა. სპეციალ სტუმართა რიცხვში არიან გერმანელი, პოლონელი, იუგოსლავი, ჩეხი, რუმინელი კინომოღვაწენი. ამიტომ შეიძლება მეხუთე საკავშირო კინოფესტივალს მეგობრობის ფორუმი ეწოდოთ.

Თ. ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲔᲕᲩᲙᲘ,
მეხუთე საკავშირო კინოფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, გენერალური დირექტორის მოადგილე

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ კინოხელოვნების ზეიმია. შეხვედრები, აზრთა ურთიერთგაზიარება, დისკუსიები, შემოქმედებითი კონტაქტები ახალ იმპულსებს წარმოშობს და ბევრ სულიერ საზრდოს მისცემს ჩვენს კინომუშაკებს.

თბილისის მეხუთე საკავშირო ფესტივალი გვიჩვენებს, რომ საინტერესოდ, მაღალ დონეზე წარიმართება. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კინოს სახელოვანი წარმომადგენლები. საკმარისია დავასახელოთ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგეი ბონდარჩუკი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი გრიგოლ როშალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ალექსანდრე ზგურიდი, პოპულარული კინომსახიობები ალა ლარიონოვა, ლიუდმილა ჩურსინა, გენარ ცელინსკი, ნიკოლაზ რიბნიკოვი, ვლადიმერ ივაშოვი და სხვები.

ბედნიერი იყოს სტუმართმოყვარე საქართველოს დედაქალაქში მეხუთე საკავშირო კინოფესტივალი!

Მ. ᲘᲡᲐᲔᲕᲐ,
ტაჯიკი კინომსახიობი

ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ წარმოდგენილია „ტაჯიკფილმის“ ნაწარმოები „რუსტამი და სუჰრობი“, რომელშიც მთავარ როლს ვასრულებ. აღსანიშნავია, რომ ფილმში მონაწილეობენ ქართველი მსახიობებიც: ო. კობერიძე, გ. კობახიძე, ბ. ჯაჯანიძე და ვ. თოხაძე. ეს თქმა უნდა, დიდი მეღელვარებით ველოდები ყიურის და უფრო მეტად ქართველი მაყურებლის შეფასებას.

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲕᲐᲙᲘᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲛᲝᲪᲘ წელი შეუსრულდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ დავით ავაზაშვილს.

მშობლიურ ყვარელში ეზიარა ცოდნას. შემდეგ დედაქალაქში მიიღო საშუალო განათლება, დამთავრა უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ 1940 წელს ახალგაზრდა მეცნიერი დავით ავაზაშვილი იცავს დისერტაციას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნის ერთადერთობის დამტკიცება უსასრულო არაერთგვაროვან არეში“, ხოლო 1957 წელს — სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ელექტრომაგნიტური რხევის დიფრაქციის ზოგადი ამოცანა“.

1944-1948 წლებში დ. ავაზაშვილი მუშაობდა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, სადაც ეწეოდა კვლევითს მუშაობას გამოყენებითი მათემატიკის დარგებში. იგი 35-მდე ნაბეჭდი სამეცნიერო შრომის და ერთი სახელმძღვანელოს ავტორია. შრომების ძირითად პრობლემატიკას წარმოადგენს დიფრაქციის მათემატიკური თეორიის სასაზღვრო ამოცანები, კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება ლოგარითმული პოტენციალის და ორეკადოვნის თეორიის სასაზღვრო ამოცანებში.

პროფესორი დავით ავაზაშვილი ხელმძღვანელობდა ასპირანტების მომზადებას ომადლეს მათემატიკაში. ამ ასპირანტთაგან დღეს ბევრია მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. დიდი იუბილარის წვლილი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების მომზადებაში, რასთან ერთად მას მიენიჭა ადმინისტრაციული სამსახურის ჯერ ინჟინერ-მაიორის, ხოლო შემდეგ დირექტორ-პოლკოვნიკის წოდება. თვალსაჩინოა პროფესორ დ. ავაზაშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ახობილი ადამიანს მან დიდი სიყვარულით და გულისხმიერებით შეასწავლა ომადლეს მათემატიკა. უნივერსიტეტის დამთავრებიდან დღემდე იგი უმაღლესი სკოლის მასწავლებელია, ახალგაზრდა სპეციალისტთა ბიჭზე მზრუნველია. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა მან ძირითადად თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუკავშირა.

1956-1959 წლებში დ. ავაზაშვილი მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგედ, ხოლო 1960 წლიდან დღემდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგეა. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დ. ავაზაშვილი ეწევა ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო-ორგანიზაციულ მოღვაწეობას.

ოვალწმისილი პედაგოგისა და მეცნიერის შრომა ჯეროვნად დაფასდა — იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელ სიგელებით და სხვ.

იუსტარეთ იუბილარს ჯანმრთელობა, სიცოცხლე, წარმატება შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ა. ᲒᲝᲠᲒᲘᲫᲔ.
ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ Ს. ᲗᲝᲛᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

Მ. ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკაში გამოიცა **მიხეილ ქვლივიძის** ლექსების კრებული **„სამი წვიმა“**. ლექსები პოლონურად თარგმნეს პოეტებმა სეკერიანმ პოლიაკმა, ვიტტორ ეოროშევსკიმ, ანა კამინსკამ, ირენა ბიოტროვსკამ, ეკი ლატვინიუმა, ედუარდ ჰოლდამ, ანდჟეი მანდალიანმა, იოანეფ ვაჩკოვმა. წიგნის შემდგენელი და რედაქტორია ეკი ლატვინიუკი. მასვე ეკუთვნის კრებულის წინასიტყვაობა, რომელსაც უმნიშვნელო შემცირებით ავქვეყნებთ:

„პოეტის ინტერესთა სფერო ფართოა, იგი აწყდება სხვადასხვა ხალხის კულტურის მონაპოვრებს. მას აღელვებს არა მარტო საკუთარი ქვეყნის წარსული, ლომეული წინაპრები, არამედ უფრო მეტად დღევანდელობა. სწორედ აქედან მოდის პასუხისმგებლობის ღრმა შეგნება, პოეტური სულის მოუსვენრობა: მას წიგნს, რომელიც იტალიაში გამოვიდა, მრავალსმეტყველი სათაური („ღია გულის პოეზია“) აქვს. მაგრამ პოეზია პედაგოგიკა არ არის და პოეტიც ქადაგი როდია. იგი მხატვარია, ეპოქა-ტა და კულტურათა გზაჯვარედინზე მდგომი.

ისტორიამ მიწიერ სამოთხეზე არაერთი ლეგენდა შემოგვინახა. მაგრამ რა იქნებოდა, უძველესი კოლხეთი საქართველოს დღევანდელობა რომ არ იყოს. ეს არის თავისებური ესტაფეტა, რომელიც სისხლით და სიკვდილით სავსე საუკუნეებში გადაეცემოდა მომავალ თაობებს, და ჩვენ გვაოცებს უძველეს ზნეზეიმულებათა ახალი მშვენიერება. მ. ქვლივიძე ტრადიციების ფორმალურ გამოვლენებამი თანმიმდევარი არ არის, მაგრამ გულდასმით უფლებს ყურს მშობელი მიწის სულის ფეთქვას. მისი ქართული რომანტიზმი ნემკვიდრეობაა, რაინდობის თავისებური გამოვლენებაა, რომელიც თუმცა კარგახანია ვეფხის ტყავით აღარ არის შემოსილი, მაინც დიდია.“

მიხეილ ქვლივიძის ლექსების კრებულის პოლონურ ენაზე გამოცემა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ქართული ლექსი ახალ და ახალ თაყვანისმცემლებს იკრებს ჩვენი სამშობლოს გარეთ.



ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲔᲠᲗ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲙᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘᲚᲝᲕᲒᲠᲐᲓᲨᲘ დამთავრდა საქალაქო მძღოლობა მაგალის ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ბათუმელი ს. სარხოიანი, რომელმაც ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ერთეულთა ასპარეზობის ფინალში მან დაამარცხა მოსკოველი ვ. ფეტისოვი 3:0, წყვილთა ასპარეზობაში კიროვაკანელ ვ. ეარდანიანთან ერთად ს. სარხოიანმა *პირველი ადგილი დაიკავა ექვთა წყვილებში, ხოლო შერეულ წყვილებში რ. პოღოსო